



N 04/424
13.05.2024

ბრძანება

424-01-4-202405131138

**სს “თბილისის თამბაქოს” (ს/ნ: 206093528) განცხადების საფუძველზე დაწყებული
ანტიდემპინგური შესწავლის შეწყვეტის შესახებ**

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის 4¹ პუნქტის, მე-17¹ მუხლის მე-4 პუნქტის, „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-8 პუნქტის, „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მიზნით შესწავლის განხორციელების წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 1 ივნისის N249 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის მე-13 პუნქტის, მე-7 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-6 პუნქტის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ნ ა ნ ე ბ ა:

1. განმცხადებლის მიერ განცხადების გამოთხოვის საფუძველით შეწყდეს 2024 წლის 22 მარტს N04/242 ბრძანებით დაწყებული ანტიდემპინგური შესწავლა აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე პროდუქციის სავარაუდო დემპინგური იმპორტის თაობაზე.
2. დამტკიცდეს თანდართული „საჯარო შეტყობინება ანტიდემპინგური შესწავლის შეწყვეტის შესახებ“ (დანართი 1).
3. „საჯარო შეტყობინება ანტიდემპინგური შესწავლის შეწყვეტის შესახებ“ გამოქვეყნდეს საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. გამოქვეყნების თარიღი მიჩნეულ იქნეს შესწავლის შეწყვეტის თარიღად.
4. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).
5. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: სს “თბილისის თამბაქოს” (ს/ნ: 206093528) მიერ 2024 წლის 2 მაისის (რეგ. N 01/2541) განცხადება.

ირაკლი ლექვიანაძე

თავმჯდომარე



საჯარო შეტყობინება

ანტიდემპინგური შესწავლის შეწყვეტის შესახებ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში წარმოშობილი ფილტრიანი თამბაქოს პროდუქტების იმპორტთან დაკავშირებით

შეტყობინება ემყარება „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მიზნით შესწავლის განხორციელების წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 1 ივნისის N249 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს, მე-6 მუხლის მე-13 პუნქტს, მე-7 მუხლის მე-3 პუნქტსა და მე-6 პუნქტს.

1. 2024 წლის 27 თებერვალს სააგენტოში შემოვიდა N01/1131 განცხადება („განცხადება“) სს „თბილისის თამბაქოს“ (ს/კ 206093528) მიერ („განმცხადებელი“) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე აზერბაიჯანის რესპუბლიკაში წარმოებული თამბაქოს შემცველი ფილტრიანი პროდუქტების სავარაუდო დემპინგურ იმპორტთან დაკავშირებით.

2. 2024 წლის 22 მარტს N04/242 ბრძანებით სააგენტომ განცხადების საფუძველზე დაიწყო ანტიდემპინგური შესწავლა და აღნიშნულზე გამოაქვეყნა საჯარო შეტყობინება. შესწავლის ობიექტად განისაზღვრა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში წარმოებული და საქართველოში იმპორტირებული ფილტრიანი სიგარეტები თამბაქოს შემცველობით, ღერის სიგრძე 80 მმ-დან 100 მმ-მდე, ღერის დიამეტრი 5 მმ-დან 8 მმ-მდე, რომელიც კლასიფიცირდება საგარეო - ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის („სეს ესნ“) სუბპოზიციაში: 2402 20 – სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით. სააგენტოს მიერ დადგინდა, რომ განმცხადებელი წარმოადგენდა ძირითად ადგილობრივ ინდუსტრიას.

3. 2024 წლის 2 მაისს სააგენტოში შემოვიდა სს „თბილისის თამბაქოს“ N01/2541 განცხადება, რომლითაც განმცხადებელი ითხოვდა განცხადების განუხილველად დატოვებას შესწავლის დაწყებიდან გარკვეულ პერიოდში ბაზარზე არსებული ვითარების შეცვლის, დავის არიდებისა და კომპანიის რესურსების დაზოგვის მოტივით.

4. შესაბამისად, სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება აზერბაიჯანის რესპუბლიკაში წარმოშობილი ფილტრიანი თამბაქოს პროდუქტების იმპორტთან დაკავშირებით ანტიდემპინგური შესწავლის შეწყვეტის შესახებ „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მიზნით შესწავლის განხორციელების წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 1 ივნისის N249 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.



TBILISI TOBACCO

საქართველოს კონკურენციის
ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს
ბატონ ირაკლი ლექვიანიძეს

სს „თბილისის თამბაქოს“ (სს 206093528)
დირექტორის ილია ქანთარიას


განცხადება

კონკურენციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში „სააგენტო“) მიერ განიხილება სს „თბილისის თამბაქოს“ მიერ 2024 წლის 27 თებერვალს წარდგენილი N01/1131 განცხადება „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ საქართველოს კანონის“ (შემდგომში „კანონი“) მე-20 მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2021 წლის N249 დადგენილებით დამტკიცებული „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოწმების მიზნით შესაწავლის განხორციელების წესისა და პროცედურების“ (შემდგომში „წესი“) მე-5 მუხლის შესაბამისად.

განცხადების განხილვის ეტაპზე, როგორც ჩვენთვის ცნობილია, სააგენტოს მიერ განხორციელებულ იქნა კანონითა და წესით დადგენილი პროცედურები და შედგა კომუნიკაცია მხარეებთან, გამოთხოვილ იქნა განცხადებაში ასახულ ფაქტებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და გატარდა სხვა ღონისძიებები.

როგორც ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან დღემდე ბაზარზე ჩვენი დაკვირვებით ჩანს, ბაზარზე ყალიბდება მოცემულობა, რომელიც იძლევა კეთილსინდისიერი კონკურენციის შესაძლებლობას. აღნიშნულის გათვალისწინებით მოლოდინი გვაქვს, რომ შესაძლებელი გახდება კეთილსინდისიერი კონკურენცია მონაწილეებს შორის და ვინაიდან კონკურენტების წინააღმდეგ დავა სს „თბილისის თამბაქოს“ თვითმიზანს არ წამოადგენს და ამავდროულად არ გვსურს კომპანიის რესურსების მოცდენა დავაზე, მოგმართავთ წინამდებარე განცხადებით, რომ მოცემულ ეტაპზე განუხილველად დატოვოთ სს „თბილისის თამბაქოს“ 2024 წლის 27 თებერვლის N01/1131 განცხადება.

პატივისცემით,
სს „თბილისის თამბაქოს“
დირექტორი
ილია ქანთარია
02.05.2024წ.



INFO GCCA

From: Tbilisi Tobacco <info@tbilisitobacco.ge>
Sent: Thursday, May 2, 2024 2:26 PM
To: INFO GCCA
Cc: 'Tamaz Shengelaia'
Subject: თბილისის თამბაქოს წერილი
Attachments: სს თბილისის თამბაქო N 01-1131 წილის თაობაზე.pdf

მოგესალმებით,
გიგზავნით სს „თბილისის თამბაქო“ს წერილს.



**TBILISI
TOBACCO**

სს თბილისის თამბაქო
ტელ: (+995 32) 270-89-52
გ. ნადარეიშვილის ქ. N7, თბილისი
ვებ-საიტი: www.tbilisitobacco.ge



**TBILISI
TOBACCO**

JSC Tbilisi Tobacco
Tel: (+995 32) 270-89-52
7 G. Nadareishvili str. 0137, Tbilisi, Georgia
Website: www.tbilisitobacco.ge



N 04/242
22.03.2024

ბრძანება

242-01-4-202403221854



**სს “თბილისის თამბაქოს” (ს/ნ: 206093528) განცხადების დასაშვებად ცნობისა და
ანტიდემპინგური შესწავლის დაწყების შესახებ**

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17¹ მუხლის მე-4 პუნქტის, მე-16 მუხლის 41 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის 1-ლი, მე-4, მე-6 პუნქტების, „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მიზნით შესწავლის განხორციელების წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 1 ივნისის N249 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დასაშვებად იქნას ცნობილი სს “თბილისის თამბაქოს” (ს/ნ: 206093528) 2024 წლის 27 თებერვლის N01/1131 განცხადება.
2. დაიწყოს შესწავლა აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე პროდუქციის სავარაუდო დემპინგური იმპორტის თაობაზე.
3. შესწავლის ობიექტად განისაზღვროს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში წარმოებული და საქართველოში იმპორტირებული ფილტრიანი სიგარეტები თამბაქოს შემცველობით, ღერის სიგრძე 80 მმ-დან 100 მმ-მდე, ღერის დიამეტრი 5 მმ-დან 8 მმმდე, რომელიც კლასიფიცირდება საგარეო - ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის („სეს ესნ“) სუბპოზიციაში: 2402 20 – სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით.



4. დამტკიცდეს თანდართული „საჯარო შეტყობინება ანტიდემპინგური შესწავლის დაწყების შესახებ“ (დანართი 1).

5. „საჯარო შეტყობინება ანტიდემპინგური შესწავლის დაწყების შესახებ“ გამოქვეყნდეს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. გამოქვეყნების თარიღი მიჩნეულ იქნეს შესწავლის დაწყების თარიღად.

6. შესწავლის დაწყების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ეცნობოს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობას და სხვა ცნობილ დაინტერესებულ პირებს.

7. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.


8. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

9. შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად.

საფუძველი: საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს ანტიდემპინგური ღონისძიების დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 22 მარტის N03/342 მოხსენებითი ბარათი.

ირაკლი ლექვიანიძე

თავმჯდომარე



სს თბილისის თამბაქოს 2024 წლის 27 თებერვლის განცხადების დასაშვებობის შემოწმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განხორციელებული კვლევის ანგარიში

ანგარიში მომზადებულია საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში („სააგენტო“) „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ“ საქართველოს კანონის („კანონი“) მე-20 მუხლის შესაბამისად შემოსული წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომლის თანახმადაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ადგილი აქვს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში წარმოებული თამბაქოს შემცველი ფილტრიანი პროდუქტების დემპინგური იმპორტს, და რომელიც ზიანს აყენებს საქართველოს ადგილობრივ ინდუსტრიას.

1. განცხადება

კანონის მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „შესწავლის დაწყების საფუძველია ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ ან მისი სახელით გაკეთებული წერილობითი განცხადება.“ აღნიშნული პუნქტის გათვალისწინებით, 2024 წლის 27 თებერვალს სააგენტოში შემოვიდა N01/1131 განცხადება („განცხადება“) სს „თბილისის თამბაქოს“ (ს/კ 206093528) მიერ („განმცხადებელი“) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე აზერბაიჯანის რესპუბლიკაში წარმოებული თამბაქოს შემცველი ფილტრიანი პროდუქტების სავარაუდო დემპინგურ იმპორტთან დაკავშირებით.

კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ასევე, საქართველოს მთავრობის №249 დადგენილების „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მიზნით შესწავლის განხორციელების წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ („წესი“) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, წარმოდგენილი განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს დასაშვებობისთვის დადგენილი უფლებამოსილების ტესტს. კერძოდ, განცხადება მხარდაჭერილი უნდა იყოს ადგილობრივი ინდუსტრიის იმ ნაწილის მიერ, რომლის მიერ წარმოებული მსგავსი პროდუქტის მოცულობა აღემატება განცხადების ექსპლიციტურად მხარდამჭერი ან საპირისპირო აზრის მქონე ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ წარმოებული მსგავსი პროდუქტის 50%-ს. ამავდროულად, მითითებულ მხარდამჭერთა მიერ წარმოებული მსგავსი პროდუქტის მოცულობა არ უნდა იყოს მთლიანი ადგილობრივი ინდუსტრიის 25%-ზე ნაკლები.

2. ადგილობრივი ინდუსტრია

კანონის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადგილობრივი ინდუსტრია განმარტებულია, როგორც „ყველა მწარმოებელი, რომლებიც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე (გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა) აწარმოებენ მსგავს პროდუქტს, ან მსგავსი პროდუქტის მწარმოებელთა ერთობლიობა, რომელთა წარმოების საერთო წილი შეადგენს მთლიანი ადგილობრივი წარმოების ძირითად ნაწილს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი პროდუქტის ადგილობრივი მწარმოებლები ამავდროულად არიან შესწავლის ობიექტის იმპორტიორები ან შესწავლის ობიექტის იმპორტიორთან ან ექსპორტიორთან დაკავშირებული პირები, – დანარჩენ მწარმოებელთა ერთობლიობა“.

ტერმინი „ძირითადი ნაწილი“ კი განმარტებულია, როგორც „მნიშვნელოვანი, სერიოზული და არსებითი“¹.

ადგილობრივი ინდუსტრიის განსაზღვრის მიზნით, სააგენტოს მიერ გადამოწმდა როგორც განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და მტკიცებულებების სიზუსტე, ასევე შეფასდა განმცხადებლის მიერ თამბაქოს შემცველი ფილტრიანი სიგარეტის წარმოების მოცულობა, მ.შ., მთლიან ადგილობრივ ინდუსტრიასთან მიმართებით. დადგინდა, რომ განმცხადებელი არის საქართველოში ფილტრიანი სიგარეტების ძირითადი მწარმოებელი, და 2023 წლის 10 თვის მონაცემებით ფარავს ადგილობრივი წარმოების %-ს, რაც დასტურდება საქართველოში რეალიზებული აქციზური მარკების რაოდენობით (იხ. ცხრილი N1), კერძოდ, 2023 წლის იანვარ-ოქტომბრის განმავლობაში საქართველოში ჯამურად გაცემული „ადგილობრივი წარმოების ფილტრიანი სიგარეტის აქციზური მარკების“ შესყიდული აქვს განმცხადებელს, შესაბამისად, განმცხადებელი წარმოადგენს ადგილობრივ ინდუსტრიას.

ცხრილი N1. იმპორტირებული და ადგილობრივი წარმოების ფილტრიანი სიგარეტზე გაცემული აქციზური მარკების რაოდენობა 2023 წლის იანვარ-ოქტომბერი

2023 წელი, თვე	ადგილობრივი წარმოების ფილტრიანი სიგარეტზე გაცემული აქციზური მარკების რაოდენობა	იმპორტირებულ ფილტრიანი სიგარეტზე გაცემული აქციზური მარკების რაოდენობა	სს „თბილისის თამბაქოს“ მიერ ადგილობრივი წარმოების ფილტრიანი სიგარეტისათვის შესყიდული აქციზური მარკების რაოდენობა
იანვარი	0	12 204 000	
თებერვალი	10 800	15 552 000	
მარტი	3 888 000	22 939 200	
აპრილი	3 564 000	24 116 400	
მაისი	0	30 715 200	
ივნისი	3 024 000	23 565 600	
ივლისი	0	39 009 600	
აგვისტო	3 024 000	27 000 000	
სექტემბერი	0	51 332 400	
ოქტომბერი	3 348 000	30 088 800	
ნოემბერი			
დეკემბერი			
	16 858 800	276 523 200	

სს “თბილისის თამბაქოს” საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს თამბაქოს შემცველი ფილტრიანი სიგარეტებისა და დაჭრილ-შეფუთული თამბაქოს წარმოება. თამბაქოს შემცველი ფილტრიანი სიგარეტების ნაწილში კომპანია ბაზარზე წარმოდგენილია შემდეგი ბრენდებით: Pirveli International Red, Pirveli International Blue, Pirveli Premium Red, Pirveli Premium Blue, Fargo, Indian strong, Naturals, რომელთა შორის ძირითადი განსხვავება მდგომარეობს შემადგენლობაში, ბლენდინგსა და ფილტრის პერფორაციაში.

¹ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის 2003 წლის 22 აპრილის პანელის გადაწყვეტილება საქმეზე Argentina - Definitive Anti-Dumping Duties on Poultry from Brazil [WT/DS241/R], პარა. 7.341

3. შესწავლის პერიოდი

იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელმა სააგენტოს მიმართა 2024 წლის 27 თებერვალს, სააგენტოს მიერ სავარაუდო დემპინგის დადგენისა და ზიანის შესწავლის პერიოდად განისაზღვრა ერთი სრული კალენდარული წელი, 2023 წლის 1 მარტიდან 2024 წლის 29 თებერვლამდე პერიოდის ჩათვლით. ამასთან, ზიანის შესახებ მსჯელობისთვის საჭირო ინფორმაციას/მტკიცებულებებს სააგენტო შეაფასებს არანაკლებ უკანასკნელი 3 წლის პერიოდისთვის („გათვალისწინებული პერიოდი“).

4. შესწავლის ობიექტი

შესწავლის ობიექტად განისაზღვრება აზერბაიჯანის რესპუბლიკაში წარმოებული და საქართველოში იმპორტირებული ფილტრიანი სიგარეტები თამბაქოს შემცველობით, კოლოფში 20 ღერი, ღერის სიგრძე 80 მმ-დან 100 მმ-მდე, ღერის დიამეტრი 5 მმ-დან 8 მმ-მდე („შესწავლის ობიექტი“), რომელიც კლასიფიცირდება საგარეო - ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის („სეს ესნ“) სუბპოზიციაში: 2402 20 – სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით.

5. სავარაუდო დემპინგი

ანტიდემპინგური კანონმდებლობით განსაზღვრული შესწავლა მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას:

- პროდუქტის დემპინგური იმპორტის არსებობის დადგენას;
- დემპინგური იმპორტის მოცულობის შეფასებას;
- ადგილობრივი ინდუსტრიისთვის მიყენებული ზიანის ან მისთვის ზიანის მიყენების საფრთხის დადგენას და მიყენებულ ზიანსა და დემპინგს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობის დადგენას.

პროდუქტის დემპინგური იმპორტის არსებობის დადგენისთვის, პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს სავარაუდო დემპინგური პროდუქტი. განსახილველ შემთხვევაში ეს არის აზერბაიჯანში წარმოშობილი („განსახილველი სახელმწიფო“) შესწავლის ობიექტი.

წესის მე-12 მუხლის მიხედვით, „იმპორტირებული პროდუქტი შეიძლება, გახდეს შესწავლის ობიექტი, თუ მოცემული პროდუქტის საექსპორტო ფასი უფრო დაბალია, ვიდრე მსგავსი პროდუქტის ნორმალური ღირებულება ვაჭრობის ჩვეულებრივ პირობებში იმ უცხო ქვეყნის ბაზარზე, საიდანაც ხორციელდება მოცემული პროდუქტის ექსპორტი.“ ნორმალური ღირებულება, კანონის მე-2 მუხლის „პ“ ქვეპუნქტით, განმარტებულია, როგორც „ექსპორტიორ ქვეყანაში ადგილობრივი მოხმარებისთვის განკუთვნილი მსგავსი პროდუქტის ფასი ვაჭრობის ჩვეულებრივ პირობებში, ხოლო ასეთი ფასის არარსებობის შემთხვევაში – შესაბამის მესამე ქვეყანაში ექსპორტის განხორციელებისას მსგავსი პროდუქტის შესადარებელი ფასი ვაჭრობის ჩვეულებრივ პირობებში.“

5.1. მსგავსი პროდუქტი

კანონის მე-2 მუხლის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მსგავსს პროდუქტის განეკუთვნება „პროდუქტი, რომელიც არის შესწავლის ობიექტის იდენტური, ანუ ყოველმხრივ ამ პროდუქტის მსგავსი, ხოლო ასეთი პროდუქტის არარსებობის შემთხვევაში – პროდუქტი, რომელიც ყოველმხრივ შესწავლის ობიექტის მსგავსი არ არის, მაგრამ აქვს ისეთი მახასიათებლები, რომლებიც ძალიან წააგავს შესწავლის ობიექტის მახასიათებლებს“.

განმცხადებელი ადგილობრივ ბაზარზე შესწავლის ობიექტის მსგავს პროდუქტად განიხილავს თამბაქოს შემცველობის ყველა ფილტრიან სიგარეტს, რომელიც კლასიფიცირდება სეს ესნ-ის 2402 20 სასაქონლო სუბპოზიციაში (სს „თბილისის თამბაქო“-ს წერილი N01-1839, პუნქტი 4). განმცხადებელი აღნიშნავს, რომ საქართველოში ადგილობრივ წარმოებას მხოლოდ ბაზრის უმნიშვნელო წილი უჭირავს და თავისი შედარებითი მცირე მოცულობიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ის განსაკუთრებით დაუცველია ნებისმიერი მსხვილი თუ საშუალო ზომის ბაზრის ოპერატორის აგრესიული, არაკეთილსინდისიერი კონკურენტული პოლიტიკისგან, ასევე ადგილობრივი წარმოება 100%-ით კონცენტრირებულია ბაზრის ქვედა საფასო სეგმენტზე, რომელშიც თითქმის არ არსებობს ბრენდისადმი უპირობო ლოიალურობა და მომხმარებლისათვის ძირითად გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს მხოლოდ ფასი, შესაბამისად, დემპინგისა და არაკეთილსინდისიერი ფასწარმოქმნის ნეგატიური ზეგავლენა უკიდურესად დიდია სწორედ ამ დაბალფასიან სეგმენტში.

სააგენტო აღნიშნავს, რომ შემოსული განცხადების დასაშვებობის განხილვის ეტაპზე მის ხელთ არ არსებობს ისეთი ტიპის მტკიცებულება, რომელიც შესაძლებელს გახდის საკმარისი სიზუსტით განისაზღვროს მსგავსი პროდუქტის საფასო კატეგორია ან/და მისი საზღვრები ასეთი კატეგორიის არსებობის შემთხვევაში. აღსანიშნავია ისიც, რომ საფასო კატეგორიების განსაზღვრისათვის აუცილებელი მტკიცებულებები, მათ შორის ეკონომიკური, სოციოლოგიური და ტექნოლოგიური ხასიათის, უნდა აკმაყოფილებდეს სანდოობის ისეთ ხარისხს, რაც შესაძლებელს გახდის მსგავსი პროდუქტის განსაზღვრების გონივრულ დავიწროებას გარკვეულ სეგმენტამდე (მაგ. დაბალ საფასო კატეგორიას მიკუთვნებული ფილტრიანი სიგარეტი). ამგვარი დავიწროება ავტომატურად ზრდის კონკრეტული ქვეყნიდან იმპორტირებული შესწავლის პროდუქტის წილობრივ მაჩვენებელს მსგავსი პროდუქტის იმპორტთან მიმართებით, ხოლო ეს მაჩვენებელი კი ერთ-ერთი წინაპირობაა განცხადების დასაშვებობისათვის, კერძოდ, კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, “შესწავლის ორგანო შესწავლას არ დაიწყებს ან მიიღებს გადაწყვეტილებას შესწავლის დაუყოვნებლივ დასრულების შესახებ, თუ იგი წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დაადგენს, რომ შესწავლის ობიექტის რომელიმე ქვეყნიდან საქართველოში განხორციელებული იმპორტის მოცულობა უმნიშვნელოა – მსგავსი პროდუქტის მთლიანი იმპორტის 3 პროცენტზე ნაკლებია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსგავსი პროდუქტის მთლიან იმპორტში ასეთი ქვეყნიებიდან იმპორტის ჯამური წილი 7 პროცენტზე მეტია”. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტომ დააწესა შესაძლებლად მაღალი სტანდარტი იმპორტის უმნიშვნელო ოდენობის ზღვრის დაკმაყოფილებისათვის, რაც თამბაქოს შემცველი ფილტრიანი სიგარეტის იმპორტის სრული მოცულობის 3%-ის დაკმაყოფილებას გულისხმობს, ნაცვლად იმპორტის გარკვეული ნაწილის 3%-სა.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სააგენტომ მსგავს პროდუქტად განსაზღვრა ფილტრიანი სიგარეტები თამბაქოს შემცველობით, ღერის სიგრძე 80 მმ-დან 100 მმ- მდე, ღერის დიამეტრი 5 მმ-დან 8 მმ-მდე რომელსაც კლასიფიცირდება საგარეო - ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის მე-4 სექციის, 24-ე ჯგუფის „თამბაქო და თამბაქოს

სამრეწველო შემცველები“, 2402 20 სუბპოზიციაში – სიგარეტები, თამბაქოს შემცველობით.

5.2. მსგავსი პროდუქტის იმპორტი

სააგენტომ დეტალურად განიხილა შესწავლის ობიექტის მსგავსი პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტის მონაცემები 2021-2023 წლებისათვის და დამატებით ცალკე გამოყო იმპორტის მაჩვენებლები შესწავლის პერიოდისათვის რომელიც განისაზღვრა 2023 წლის 1 მარტიდან 2024 წლის 29 თებერვლამდე პერიოდით. სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო მონაცემებით დამუშავების და ანალიზის შედეგად დგინდება, რომ შესწავლის პერიოდში საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტირებულ იქნა სულ 292 186 350 კოლოფი ფილტრიანი სიგარეტი (დაახლოებით 584 372.7 ყუთი), რაც 20.54%-ით მეტია 2020-2022 წლებში წელიწადში საშუალოდ იმპორტირებული 242 403 622 კოლოფზე (დაახლოებით 484 807 ყუთი) (იხ. ცხრილი N2).

ცხრილი N2: საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მსგავსი პროდუქტის იმპორტის ჯამური მაჩვენებლები

პერიოდი	რაოდენობა (კოლოფი)	ღირებულება (ლარი)	ღირებულება (აშშ დოლარი)
2021 წელი	245 353 550.00	258 454 255.00	81 177 405.00
2022 წელი	251 939 850.00	247 161 441.00	87 015 401.00
2023 წელი	282 582 392.00	274 915 880.51	104 455 334.57
2024 წლის იანვარ-თებერვალი	29 537 058.00	32 181 773.81	12 094 319.90
შესწავლის პერიოდი	292 186 350.00	288 254 159.52	109 428 014.97

ცხრილი N3 ასახავს შესწავლის პერიოდისათვის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მსგავსი პროდუქტის იმპორტის მაჩვენებლებს ექსპორტიორი ქვეყნების მიხედვით. როგორც მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, შესწავლის პერიოდისათვის თამბაქოს შემცველი ფილტრიანი სიგარეტების ექსპორტიორთა შორის ყველაზე დიდი ხვედრითი წონა თურქეთის რესპუბლიკაზე მოდის (45.81%). მეორე ადგილზეა სომხეთის რესპუბლიკა, იმპორტის მთლიანი მოცულობის 15,65%-ით, ხოლო აზერბაიჯანის რესპუბლიკა მესამე ადგილზე იმპორტის მთლიანი მოცულობის 9,35%-ით.

ცხრილი N3: საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე მსგავსი პროდუქტის იმპორტის მაჩვენებლები შესწავლის პერიოდისათვის ექსპორტიორი ქვეყნების მიხედვით

მწარმოებელი ქვეყანა	საერთო თანხა (ლარი)	რაოდენობა (კოლოფი)	% (რაოდენობა)	საშუალო შეწონილი ფასი (ლარი)
თურქეთი	139 289 911.73	133 850 600.00	45.81	1.04
სომხეთი	26 867 175.25	45 735 111.00	15.65	0.59
აზერბაიჯანი	23 814 646.71	27 306 000.00	9.35	0.87
ჩეხეთი	23 770 685.00	22 789 000.00	7.80	1.04
უზბეკეთი	25 788 878.34	21 474 900.00	7.35	1.20
ლიტვა	21 926 266.72	12 216 000.00	4.18	1.79
პოლონეთი	11 535 729.55	11 051 000.00	3.78	1.04
ბულგარეთი	3 062 046.81	5 525 000.00	1.89	0.55

სერბეთი	3 657 768.55	4 512 500.00	1.54	0.81
უკრაინა	3 236 110.25	2 702 000.00	0.92	1.20
საბერძნეთი	1 696 795.71	1 455 000.00	0.50	1.17
ყაზახეთი	1 131 320.97	999 000.00	0.34	1.13
იტალია	995 861.24	901 000.00	0.31	1.11
ევროკავშირი	604 771.10	845 000.00	0.29	0.72
რუმინეთი	721 583.03	647 000.00	0.22	1.12
უცნობია	154 608.54	177 239.00	0.06	0.87
სულ	288 254 159.52	292 186 350.00	100.00	0.99

5.3. შესწავლის ობიექტის იმპორტი

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, შესწავლის ობიექტის იმპორტი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ხორციელდება აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან. როგორც სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის დამუშავების და ანალიზის შედეგები ცხადყოფს, რომ 2021 წელს აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან ფილტრიანი სიგარეტების იმპორტი არ ხორციელდებოდა, ხოლო 2022-2023 წლებში აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან ფილტრიანი სიგარეტების ჯამური იმპორტის დინამიკა, როგორც რაოდენობრივ, ისე ღირებულებით ჭრილში, ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა (იხ. გრაფიკი N1). ამ პერიოდში ასევე ზრდადია თამბაქოს შემცველი ფილტრიანი სიგარეტის კოლოფის ფასი. აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონმდებლობის შესაბამისად, „გათვალისწინებული პერიოდი“ აღებულ იქნეს უკანასკნელი 3 წლის ხანგრძლივობით.

გრაფიკი N1: აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შესწავლის ობიექტის იმპორტის მაჩვენებლები, 2021-2023 წლები



შესწავლის პერიოდში აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ხორციელდებოდა 18 დასახელების (ბრენდის) ფილტრიანი სიგარეტი იმპორტის. ხსენებული 18 კატეგორია შეფუთვის გათვალისწინებით თავის მხრივ იყოფა სხვადასხვა ქვე-სახეობად და მინიჭებული აქვს სპეციფიური სახელწოდებები, მაგ. “Blue”, „Black”, “White” და ა.შ. შესწავლის პერიოდში თვრამეტივე დასახელების ფილტრიანი სიგარეტის იმპორტთან დაკავშირებული მონაცემები რაოდენობრივ და ღირებულებით მაჩვენებლებში მოცემულია N4 ცხრილში, რომლის მიხედვითაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შესწავლის პერიოდში ყველაზე დიდი ოდენობით განხორციელდა სამი სახეობის, კერძოდ კი ფილტრიანი სიგარეტის იმპორტი.

ცხრილი N4: შესწავლის პერიოდში აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტირებული ფილტრიანი სიგარეტი სავაჭრო ნიშნების მიხედვით

სიგარეტის დასახელება	რაოდენობა (კოლოფი)	ღირებულება (ლარი)	ღირებულება (აშშ დოლარი)
	8 278 000.00	6 568 085.66	2 441 152.77
	7 804 000.00	6 258 849.09	2 330 397.53
	1 934 000.00	1 180 682.96	448 427.06
	1 527 500.00	2 125 407.58	791 295.62
	1 348 500.00	991 264.09	366 487.89
	1 323 000.00	1 850 834.31	688 084.05
	1 216 000.00	1 275 346.55	474 647.20
	892 000.00	699 503.13	260 316.44
	507 000.00	533 496.67	197 294.53
	482 500.00	483 781.21	181 754.90
	420 500.00	590 529.81	219 188.95
	405 000.00	575 073.76	213 742.34
	280 000.00	218 596.94	81 247.70
	202 000.00	97 615.22	36 490.13
	201 000.00	85 865.69	32 309.48
	183 000.00	142 236.75	52 639.79
	151 000.00	72 971.22	27 277.22
	151 000.00	64 506.06	24 272.30
სულ	27 306 000.00	23 814 646.71	8 867 025.90

გარდა ამისა, საინტერესოა იმპორტირების სტრუქტურა თავად ბრენდების მიხედვით, რაც მოცემულია ცხრილი N5-ში.

ცხრილი N5: შესწავლის პერიოდში აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტირებული ფილტრიანი სიგარეტი ბრენდების მიხედვით

BRANDS	რაოდენობა (კოლოფი)	ღირებულება (ლარი)	ღირებულება (აშშ დოლარი)
	16 082 000.00	12 826 934.75	4 771 550.29
	5 399 000.00	6 950 688.68	2 584 252.69
	3 186 000.00	2 535 382.13	942 446.73
	1 934 000.00	1 180 682.96	448 427.06
	705 000.00	320 958.19	120 349.13
სულ	27 306 000.00	23 814 646.71	8 867 025.90

ხაზგასასმელია, რომ განმცხადებლის წარმოდგენილ განცხადებაში გამოყოფს და -ის ბრენდის სიგარეტებს, და მიიჩნევს, რომ მათთან მიმართებით ადგილი აქვს დემპინგურ იმპორტს. სააგენტომ ცალკე შეისწავლა აღნიშნული დასახელებების პროდუქტები და შეაფასა, სხვა თანაბარ პირობებში, დაკმაყოფილდებოდა თუ არა კანონმდებლობით განსაზღვრული წინაპირობები, მათ შორის ხსენებული სახეობების იმპორტის მოცულობასთან დაკავშირებული მოთხოვნები. N6-N10 ცხრილებში მოცემულია საქართველოს საბაჟოს მონაცემები და ბრენდების, სიგარეტის ბრენდის ფილტრიანი სიგარეტების იმპორტისთვის.

ცხრილი N6: შესწავლის პერიოდში აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტირებული ფილტრიანი სიგარეტი

რაოდენობა (კოლოფი)	ღირებულება (ლარი)	ღირებულება (აშშ დოლარი)	რაოდენ ობრივი წილი აზერბაი ჯანის რესპ. იმპორტ ში	რაოდ ენობრ ივი წილი მთლი ან იმპო რტში	ღირებუ ლებითი წილი აზერბაი ჯანის რესპ. იმპორტ ში	ღირე ბულე ბითი წილი მთლი ან იმპო რტში
8 278 000.00	6 568 085.66	2 441 152.77	30.32	2.83	27.58	2.28
7 804 000.00	6 258 849.09	2 330 397.53	28.58	2.67	26.28	2.17
სულ	16 082 000.00	12 826 934.75	58.90	5.50	53.86	4.45

ცხრილი N7: შესწავლის პერიოდში აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტირებული ფილტრიანი სიგარეტი

	რაოდენობა (კოლოფი)	ღირებულება (ლარი)	ღირებულება (აშშ დოლარი)	რაოდენობრივი წილი აზერბაიჯანის რესპ. იმპორტში	რაოდენობრივი წილი მთლიან იმპორტში	ღირებულ ებითი წილი აზერბაიჯანის რესპ. იმპორტში	ღირებუ ლებითი წილი მთლიან იმპორტში
	1 527 500.00	2 125 407.58	791 295.62	5.59	0.52	8.92	0.74
	1 323 000.00	1 850 834.31	688 084.05	4.85	0.45	7.77	0.64
	1 216 000.00	1 275 346.55	474 647.20	4.45	0.42	5.36	0.44
	507 000.00	533 496.67	197 294.53	1.86	0.17	2.24	0.19
	420 500.00	590 529.81	219 188.95	1.54	0.14	2.48	0.20
	405 000.00	575 073.76	213 742.34	1.48	0.14	2.41	0.20
სულ	5 399 000.00	6 950 688.68	2 584 252.69	19.77	1.85	29.19	2.41

ცხრილი N8: შესწავლის პერიოდში აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტირებული ფილტრიანი სიგარეტი

	რაოდენობა (კოლოფი)	ღირებულება (ლარი)	ღირებულება (აშშ დოლარი)	რაოდენობრივი წილი აზერბაიჯანის რესპ. იმპორტში	რაოდენობრივი წილი მთლიან იმპორტში	ღირებუ ლებითი წილი აზერბაიჯანის რესპ. იმპორტში	ღირებუ ლებითი წილი მთლიან იმპორტში
	1 348 500.00	991 264.09	366 487.89	4.94	0.46	4.16	0.34
	892 000.00	699 503.13	260 316.44	3.27	0.31	2.94	0.24
	482 500.00	483 781.21	181 754.90	1.77	0.17	2.03	0.17
	280 000.00	218 596.94	81 247.70	1.03	0.10	0.92	0.08
	183 000.00	142 236.75	52 639.79	0.67	0.06	0.60	0.05
სულ	3 186 000.00	2 535 382.13	942 446.73	11.67	1.09	10.65	0.88

ცხრილი N9: შესწავლის პერიოდში აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტირებული ფილტრიანი სიგარეტი

	რაოდენობა (კოლოფი)	ღირებულება (ლარი)	ღირებულება (აშშ დოლარი)	რაოდენ ობრივი წილი აზერბაი ჯანის რესპ. იმპორტ ში	რაოდენ ობრივი წილი მთლიან იმპორტ ში	ღირებ ულები თი წილი აზერბა იჯანის რესპ. იმპორ ტში	ღირებ ულები თი წილი მთლია ნ იმპორ ტში
	1 934 000.00	1 180 682.96	448 427.06	7.08	0.66	4.96	0.41
სულ	1 934 000.00	1 180 682.96	448 427.06	7.08	0.66	4.96	0.41

ცხრილი N10: შესწავლის პერიოდში აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტირებული ფილტრიანი სიგარეტი

	რაოდენობა (კოლოფი)	ღირებულებ ა (ლარი)	ღირებულ ება (აშშ დოლარი)	რაოდენო ბრივი წილი აზერბაი ჯანის რესპ. იმპორტშ ი	რაოდენ ობრივი წილი მთლია ნ იმპორტ ში	ღირებუ ლებითი წილი აზერბაი ჯანის რესპ. იმპორტშ ი	ღირებუ ლებითი წილი მთლიან იმპორტშ ი
	202 000.00	97 615.22	36 490.13	0.74	0.07	0.41	0.03
	201 000.00	85 865.69	32 309.48	0.74	0.07	0.36	0.03
	151 000.00	72 971.22	27 277.22	0.55	0.05	0.31	0.03
	151 000.00	64 506.06	24 272.30	0.55	0.05	0.27	0.02
სულ	705 000.00	320 958.19	120 349.13	2.58	0.24	1.35	0.11

ზემოთ აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, შესწავლის ობიექტის იმ სახეობების იმპორტი, რომელთა ნორმალური ღირებულების შესახებ სააგენტოს განცხადების დასაშვებობის განხილვის ეტაპზე საკმარისი ინფორმაცია გააჩნია, კერძოდ, და ბრენდების ნიმუშები, შესწავლის პერიოდში შეადგენს მსგავსი პროდუქტის მთლიანი იმპორტის რაოდენობის (კოლოფები) 7,50%-ს, ხოლო თანხობრივი მაჩვენებლებით (ლარი) მსგავსი პროდუქტის მთლიანი იმპორტის 5,85%-ს. იგივე სახეობები შეადგენს აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან იმპორტის ღირებულების 70,81%, ხოლო რაოდენობრივ ჭრილში 80,23%-ს.

ბრენდების ნიმუშების აზერბაიჯანის შიდა ბაზარზე საცალო ფასები მოცემულია სს „თბილთამბაქოს“ განცხადებაზე თანდართულ კვლევითი კომპანია „გამმას“ მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში, ხოლო ბრენდის შესახებ განმცხადებელი აღნიშნავს, რომ რადგანაც არ არის აზერბაიჯანის ადგილობრივ ბაზარზე წარმოდგენილი, მისი სავარაუდო ნორმალური

ღირებულების მათ მიერ დადგენა განხორციელდა მწარმოებლის მიერ დამოუკიდებელ მყიდველზე გაკეთებული საექსპორტო შეთავაზების საფუძველზე.

შესწავლის ობიექტის ხსენებული სახეობების მწარმოებელი ექსპორტიორ ქვეყანაში საბაჟო დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, არის , რომელიც განცხადების დასაშვებობის განხილვის ეტაპზე წარმოადგენს შესწავლის ორგანოსთვის ცნობილ ერთადერთ მწარმოებელს.

5.4. შესწავლის ობიექტის ნორმალური ღირებულება

კანონის მე-2 მუხლის 3 პუნქტის მიხედვით, “ნორმალურ ღირებულებას წარმოადგენს ექსპორტიორ ქვეყანაში ადგილობრივი მოხმარებისთვის განკუთვნილი მსგავსი პროდუქტის ფასი ვაჭრობის ჩვეულებრივ პირობებში, ხოლო ასეთი ფასის არარსებობის შემთხვევაში – შესაბამის მესამე ქვეყანაში ექსპორტის განხორციელებისას მსგავსი პროდუქტის შესადარებელი ფასი ვაჭრობის ჩვეულებრივ პირობებში”. განმცხადებლის მითითებით, მის მიერ მოძიებულ იქნა შესწავლის ობიექტის ნორმალური ღირებულება პროდუქტის წარმოშობის ქვეყანაში საცალო გაყიდვის დონეზე. კერძოდ, განმცხადებელმა წარმოადგინა კვლევითი კომპანია “გამმა“-ს მიერ მიწოდებული ინფორმაცია აზერბაიჯანის რესპუბლიკის შიდა ბაზარზე სხვადასხვა სახეობის სიგარეტებზე საცალო სარეალიზაციო ფასების შესახებ (2021 წლის დასაწყისიდან 2023 წლის ბოლომდე პერიოდში). განმცხადებელი აღნიშნავს, რომ, ვინაიდან სიგარეტის ბრენდი აზერბაიჯანის ადგილობრივ ბაზარზე არ არის წარმოდგენილი, მისი სავარაუდო ნორმალური ღირებულების დადგენა მათ განხორციელეს მწარმოებლის მიერ დამოუკიდებელ მყიდველზე გაკეთებული საექსპორტო შეთავაზების საფუძველზე, რომლის თანახმადაც -ის ბრენდის სიგარეტების ნორმალური ღირებულება შეადგენს 104 აშშ დოლარს 1 ყუთ სიგარეტზე. რაც შეეხება ბრენდის სიგარეტებს, კომპანია “გამმა“-ს მიერ მიწოდებული ინფორმაციით -ს ფასი აზერბაიჯანის ადგილობრივ ბაზარზე 2023 წლის მე-2 ნახევარში შეადგენდა 2,4 აზერბაიჯანულ მანათს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში ხდება დასახელების სიგარეტის იმპორტი. განმცხადებელი მიუთითებს, რომ ვინაიდან სხვადასხვა ქვეყნებში გამოიყენება ამა თუ იმ სახეობის სხვადასხვა სახელების პრაქტიკა, საქართველოში იმპორტირებული ბრენდის სახეობის აზერბაიჯანული ანალოგის იდენტიფიცირებისას მათ მიერ შეფასებულ იქნა პროდუქტების მთელი რიგი შესადარისი პარამეტრები, რის შედეგადაც გამოვლინდა ანალოგიური პროდუქტი , რომელსაც თითქმის ყველა პარამეტრი საქართველოში იმპორტირებული სახეობის შესაბამისი აქვს, კერძოდ:

პარამეტრი	თანხვედრა (+ სრულად ემთხვევა / - განსხვავებულია)
ბრენდის ზოგადი დასახელება	+
ბრენდის დამატებითი დეტალიზაცია/ქვედასახელება	+
კოლოფის ვიზუალური მსგავსება	+
კოლოფის ფორმა (Round corner)	+
სიგარეტის "სტილი" (სიძლიერე lights, ნიკოტინისა და კუპრის შემცველობა)	+
ფილტრის ტიპი (acetate)	+
დამატებითი არომატი (No)	+

კაფსულა (No)	+
ფილტრის აგებულიება (Not recessed)	+
არშის ტიპი (თეთრი)	+
ღერის სიგრძე (KS)	+
ღერის დიამეტრი	- (სხვაობა 10%, 1 მმ-ზე ნაკლები)

განმცხადებელი ასევე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ აზერბაიჯანის შიდა ბაზარზე ბრენდის აღნიშნული სახეობის () ფასი მინიმალურია ამ ბრენდის მთელ ჯგუფში (მთელი ანალიზური პერიოდის განმავლობაში), რაც შესაბამისად, ამ კონკრეტულ სახეობაზე დაყრდნობით გაკეთებულ ნორმალური ღირებულების გაანგარიშებას მეტ კონსერვატიულობას სძენს.

აღსანიშნავია, რომ კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ვაჭრობის ჩვეულებრივ პირობებში მსგავსი პროდუქტის გაყიდვის მოცულობა, რომელიც განკუთვნილია ექსპორტიორი ქვეყნის ადგილობრივი ბაზრისთვის, ნორმალური ღირებულების განსაზღვრისთვის საკმარის მოცულობად ჩაითვლება, თუ მსგავსი პროდუქტის გაყიდვის მოცულობა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შესწავლის ობიექტის გაყიდვების 5 პროცენტია ან 5 პროცენტზე მეტია. მიუხედავად ამისა, მსგავსი პროდუქტის გაყიდვის უფრო ნაკლები მოცულობა ვაჭრობის ჩვეულებრივ პირობებში საკმარის მოცულობად ჩაითვლება, თუ ეს მოცულობა შესაძარბელი ფასის განსაზღვრის საშუალებას იძლევა. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული 5%-იანი ზღვარი განსახილველ შემთხვევაში რაოდენობრივად 1,5 მლნ ლარზე ნაკლებია, ხოლო მწარმოებლის საწარმოო სიმძლავრის მასშტაბი რადიკალურად აჭარბებს ამ მაჩვენებელს, აშკარაა, რომ სააგენტოს ხელთ არსებული მონაცემები შესაძარბელი ფასის განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების მიხედვით, წარმოშობის ქვეყანის შიდა ბაზარზე შესწავლის ობიექტის საცალო გაყიდვის ფასები, ვაჭრობის ჩვეულებრივ პირობებში, შესწავლის პერიოდის განმავლობაში, სხვადასხვა დასახელებისათვის მოცემულია N11 ცხრილში. აღსანიშნავია, რომ სააგენტომ, მის ხელთ არსებული მონაცემების საფუძველზე, სს “თბილისი თამბაქოს“ განცხადებაში მოყვანილი დასახელების სიგარეტების გარდა, მიზანშეწონილად ჩათვალა, შეესწავლა ბრენდის სიგარეტების შემთხვევა.

ცხრილი N11. შესწავლის პერიოდში შესწავლის ობიექტის საცალო გაყიდვის საშუალო შეწონილი ფასები აზერბაიჯანის რესპუბლიკის შიდა ბაზარზე² (აზერბაიჯანული მანათი - AZN)

პერიოდი												
დასახელება	01.01.22	01.02.22	01.03.22	01.04.22	01.05.22	01.06.22	01.07.22	01.08.22	01.09.22	01.10.22	01.11.22	01.12.22
	3.65	3.69	3.70	3.70	3.70	3.78	3.82	3.88	3.86	3.90	3.87	3.80
	3.49	3.50	3.50	3.50	3.50	3.58	3.62	3.68	3.66	3.70	3.67	3.60
	3.41	3.50	3.50	3.53	3.59	3.63	3.70	2.60	3.70	3.70	3.70	3.60
	3.50	3.50	3.50	3.50	3.50	3.60	3.60	3.60	3.60	3.61	3.60	3.60
	3.50	3.50	3.50	3.50	3.50	3.60	3.60	3.60	3.60	3.61	3.60	3.61
	3.50	3.50	3.50	3.50	3.52	3.62	3.61	3.63	3.62	3.62	3.61	3.61
	3.42	0.00	0.00	3.50	3.50	3.60	3.61	3.61	3.61	3.61	3.60	3.60
	3.50	3.50	3.51	3.50	3.50	3.60	3.61	3.61	3.61	3.61	3.60	3.60
	3.50	3.50	3.50	3.50	3.52	3.61	3.61	3.63	3.62	3.62	3.61	3.61
	3.50	3.50	3.51	3.51	3.51	3.58	3.60	3.61	3.61	3.61	3.61	3.61
	2.48	2.49	2.49	2.48	2.50	2.51	2.55	2.52	2.50	2.52	2.66	2.70
	2.09	2.10	2.10	2.09	2.10	2.19	2.19	2.19	2.19	2.19	2.20	2.20
	2.59	2.61	2.60	2.60	2.60	2.70	2.70	2.70	2.70	2.70	2.70	2.70

² ყვეთელი უჯრებში მითითებული მონაცემები მიღებულია ექსტრაპოლაციით, კერძოდ, კომპანია „გამმას“ მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში ცარიელი უჯრები, ანუ იმ თვეების მონაცემები, სადაც არ იყო მითითებული გაყიდვის ფასები, მიღებულია სხვა თვეებში არსებული მონაცემების შედარების საფუძველზე (2021-2023 წლების მაჩვენებლებით).

პერიოდი												
დასახელება	01.01.23	01.02.23	01.03.23	01.04.23	01.05.23	01.06.23	01.07.23	01.08.23	01.09.23	01.10.23	01.11.23	01.12.23
	3.85	3.80	3.80	3.90	3.90	3.90	3.90	3.99	4.01	4.00	4.00	4.01
	3.65	3.60	3.60	3.70	3.70	3.70	3.70	3.79	3.81	3.80	3.80	3.81
	3.60	3.60	3.60	3.70	3.70	3.70	3.70	3.79	3.81	3.80	3.80	3.81
	3.60	3.60	3.60	3.70	3.70	3.70	3.70	3.79	3.81	3.80	3.80	3.81
	3.60	3.60	3.61	3.70	3.71	3.71	3.71	3.81	3.81	3.81	3.81	3.81
	3.61	3.61	3.61	3.71	3.71	3.71	3.71	3.81	3.81	3.81	3.81	3.81
	3.60	3.60	3.60	3.71	3.70	3.70	3.70	3.80	3.80	3.81	3.80	3.80
	3.60	3.60	3.60	3.71	3.70	3.70	3.70	3.80	3.80	3.81	3.80	3.80
	3.61	3.61	3.61	3.71	3.71	3.71	3.71	3.80	3.81	3.80	3.81	3.81
	3.61	3.61	3.61	3.71	3.71	3.71	3.71	3.81	3.81	3.81	3.81	3.81
	2.60	2.60	2.60	2.70	2.70	2.71	2.70	2.80	2.80	2.79	2.80	2.80
	2.20	2.20	2.20	2.30	2.30	2.31	2.30	2.40	2.40	2.39	2.40	2.40
	2.70	2.70	2.70	2.80	2.80	2.80	2.80	2.90	2.90	2.90	2.90	2.90

აღსანიშნავია, რომ კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, ნორმალური ღირებულებისა და საექსპორტო ფასის შედარება უნდა მოხდეს ფასების სამართლიანი შედარების პრინციპის დაცვით, კერძოდ, „ასეთი შედარება ხორციელდება სავაჭრო ოპერაციის ერთსა და იმავე სტადიაზე, ჩვეულებრივ, წარმოებიდან გატანისას, ხოლო გაყიდვის შემთხვევაში – შეძლებისდაგვარად ერთსა და იმავე დროს“. თითოეულ შემთხვევაში სათანადო ყურადღება ექცევა იმ განსხვავებებს, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს ფასების შედარებაზე, აგრეთვე გაყიდვის პირობებისა და ვადების, დაბეგვრის, სავაჭრო ოპერაციის სტადიის, რაოდენობის, ფიზიკური მახასიათებლების განსხვავებებსა და ნებისმიერ სხვა ისეთ განსხვავებას, რომლებიც ასევე ზემოქმედებას ახდენს ფასების შედარებაზე. აღნიშნულ შემთხვევებში გაითვალისწინება როგორც ხარჯები (მოსაკრებლებისა და გადასახადების ჩათვლით, რომლებიც გადახდილ იქნა იმპორტსა და ხელმეორედ გაყიდვას შორის პერიოდში), ისე მოგება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, განცხადებაში წარმოდგენილია პირობითი ნორმალური ღირებულება Ex Work დონეზე - შესწავლის ობიექტის საცალო-სარეალიზაციო ფასები ფასწარმოქმნის ელემენტების, კერძოდ, გადასახადების, ინდუსტრიისათვის დამახასიათებელი ხარჯებისა და გონივრული მოგების მარჟის გამოკლებით.

სააგენტომ გამოიყენა შესწავლის ობიექტის ნორმალური ღირებულების გამოთვლის ფორმულა, რომელიც პირობითად ნაჩვენებია N12 ცხრილში, ერთი კოლოფი თამბაქოს შემცველი ფილტრიანი სიგარეტის ფასის გამოთვლის მაგალითზე: სააგენტომ გონივრულად მიიჩნია ვაჭრობის სხვადასხვა დონეზე ფასნამატის (დღგ-ის ჩათვლით) დონედ პირობითად ჩაეთვალა 5%.

ცხრილი N12. შესწავლის ობიექტის ნორმალური ღირებულების გამოთვლის ნიმუში


1	საცალო სარეალიზაციო ფასი (დღგ-ს ჩათვლით)	2.40 ₾
	საცალო ქსელის ფასნამატი (5%, დღგ-ს ჩათვლით)	-0.12 ₾
	საბითუმო ვაჭრობის/დისტრიბუციის ფასნამატი (8%, დღგ-ს ჩათვლით)	-0.18 ₾
2	მწარმოებლის გასაყიდი ფასი (დღგ-ს ჩათვლით)	2.10 ₾
	<i>გადასახადები:</i>	
	დღგ (განაკვეთი 18%)	-0.32 ₾
	აქციზის გადასახადი (38.5 AZN 1000 ცალ ღერზე)	-0.77 ₾
3	მწარმოებლის სუფთა გასაყიდი ფასი (გადასახადების გარეშე) ადგილობრივ ვალუტაში	1.01 ₾
	AZN/USD გაცვლითი კურსი (წყარო xe.com)	1.70
4	ნორმალური ღირებულება - მწარმოებლის სუფთა გასაყიდი ფასი (გადასახადების გარეშე) აშშ დოლარში	USD 0.59
	ნორმალური ღირებულება 1 ყუთზე (500 კოლოფი) აშშ დოლარში	USD 296.05
	GEL/USD გაცვლითი კურსი	2.79 ³
5	ნორმალური ღირებულება 1 ყუთზე (500 კოლოფი) ლარში	825.97 GEL

³ ამ შემთხვევაში GEL/USD გაცვლითი კურსი აღებულია 2022-2023 წლების საშუალო კურსი, ხოლო იმპორტის დროს ყოველი ტრანზაქციისთვის გათვალისწინებულია იმდღევანდელი GEL/USD ოფიციალური გაცვლითი კურსი

სააგენტოს ხელთ არსებული ინფორმაციის სანდოობის ხარისხის გათვალისწინებით, სააგენტომ მხედველობაში მიიღო და განიხილა შემდეგი დასახელების სიგარეტების ნორმალური ღირებულება: . რაც შეეხება ბრენდს, სააგენტომ ნორმალურ ღირებულებად მიიღო დამოუკიდებელ მყიდველზე შეთავაზებული ფასი (104 აშშ დოლარი ერთ ყუთზე)

აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული მინიმალური ზღვრების დაკმაყოფილების საკითხი გადამოწმებულ იქნა არა მხოლოდ სრული მოცულობებისთვის, არამედ მხოლოდ ხსენებული დასახელების პროდუქტებისთვისაც. შესაბამისად, კანონმდებლობით მოთხოვილი წინაპირობების მიმართ შესაბამისობა შემოწმებულ იქნა იმ დაშვებითაც, რომ სავარაუდო დემპინგურ იმპორტში ხსენებული პროდუქტის გარდა სხვა დასახელების პროდუქტები არ მონაწილეობენ, რითაც სააგენტომ გაზარდა მტკიცების სტანდარტი შერჩეული დასახელების პროდუქტისათვის.

გრაფიკი N2: ნორმალური ღირებულება შესწავლის ობიექტის კონკრეტული დასახელებებისთვის



5.5. შესწავლის ობიექტის საექსპორტო ფასი

სააგენტომ ცალკე გამოყო შესწავლის ობიექტის იმ დასახელებათა (ბრენდის ფილტრიანი სიგარეტები) საექსპორტო ფასთა მონაცემები, რომლებიც განმცხადებელის მითითებით დემპინგური იმპორტის საგანს წარმოადგენს, და რომელთა შესახებაც სააგენტოს გააჩნია შესადარი ნორმალური ღირებულების შესახებ სარწმუნო მონაცემები. N13 ცხრილში მოცემულია ხსენებული დასახელებების მქონე ფილტრიანი სიგარეტების საექსპორტო ფასთა მონაცემები, საიდანაც დგინდება რომ შესწავლის პერიოდში ერთეულის საექსპორტო ფასები მერყეობს 0.43-1,01 ლარის შუალედში. ამასთან, როგორც სააგენტოს მიერ დადგინდა, აღნიშნული ფილტრიანი სიგარეტები შესწავლის პერიოდში საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე ჯამურად იმპორტირებულ იქნა 43 814 ყუთის ოდენობით, ხოლო საექსპორტო ფასის საშუალო შეწონილი მაჩვენებელი უტოლდებოდა 0.77 ლარს ერთ კოლოფ სიგარეტზე.

ცხრილი N13: და დასახელებების სიგარეტების საექსპორტო ფასები შესწავლის პერიოდში (ლარი)

სიგარეტის დასახელება	მარტი - 2023 წელ	აპრილი - 2023 წელ	მაისი - 2023 წელ	ივნისი - 2023 წელ	ივლისი - 2023 წელ	აგვისტო - 2023 წელ	სექტემბერი - 2023 წელ	ოქტომბერი - 2023 წელ	ნოემბერი - 2023 წელ	დეკემბერი - 2023 წელ	იანვარი - 2024 წელ	თებერვალი - 2024 წელ
									0.80	0.81		0.79
									0.79	0.80		0.78
	0.51	0.50	0.50	0.59	0.66	0.66	0.66	0.67	0.68	0.67	0.67	0.67
									0.74	0.73		
										0.78		
										0.78		
										0.78		
				0.99	1.01				1.01			
											0.43	
											0.43	
										0.49	0.48	
										0.49	0.48	


როგორც ვხედავთ, შესწავლის პერიოდში უწყვეტად ხდებოდა მხოლოდ სიგარეტის იმპორტი, ბრენდის სიგარეტების იმპორტი - 2023 წლის ნოემბერ-დეკემბერში და 2024 წლის თებერვალში, ბრენდის სიგარეტის იმპორტი მხოლოდ 2023 წლის დეკემბერში, გარდა სიგარეტისა, რომლის იმპორტიც განხორციელდა 2023 წლის ივნის-ივლისისა და ნოემბრის თვეებში, ხოლო ბრენდის სიგარეტების იმპორტი - 2023 წლის დეკემბერში და 2024 წლის იანვარში.

5.6. სავარაუდო დემპინგის ზომა

როგორც ნორმალური ღირებულების გაანგარიშებისას იქნა ნაჩვენები, ერთი და იმავე ბრენდის სხვადასხვა დასახელებების ნორმალურ ღირებულებებს შორის პრაქტიკულად არ არის განსხვავება. იგივე შეიძლება ითქვას საექსპორტო ფასზეც. სააგენტომ შეისწავლა როგორც თითოეული დასახელებისათვის, ასევე ჯამურად - იდენტიფიცირებული ნორმალური ღირებულების დასახელების შესწავლის ობიექტებისათვის.


ქვემოთ ცხრილები და დიაგრამები უჩვენებს იმპორტირებული რაოდენობის (ყუთები) ფონზე საექსპორტო ფასის, ნორმალური ღირებულებისა და დემპინგური ზღვრის ცვლილებას დროში თითოეული დასახელების პროდუქტისათვის.

გრაფიკი N3: დემპინგის ზომა პროდუქტისთვის:




როგორც მონაცემები მიუთითებს (იხ. გრაფიკი N3), -ის შემთხვევაში რაოდენობრივი მაჩვენებელი პიკს 2023 წლის დეკემბერში აღწევს (9790 ყუთი), ხოლო დემპინგური ზღვარი მერყეობს 335,07%-დან 344,03%-მდე.

გრაფიკი N4: დემპინგის ზომა პროდუქტისთვის:




-სიგარეტის შემთხვევაში (იხ. გრაფიკი N4) იმპორტის პიკი გვაქვს 2023 წლის დეკემბერში (8954 ყუთი) და ანალოგიური დემპინგური ზღვრის ამპლიტუდით.

გრაფიკი N5: დემპინგის ზომა პროდუქტისთვის:




სიგარეტის შემთხვევაში, რომლის იმპორტიც ბრენდის სიგარეტებისაგან განსხვავებით შესწავლის პერიოდში უწყვეტად მიმდინარეობდა, მეტწილად 2023 წლის მარტსა (520 ყუთი) და ივნისში (525 ყუთი) და 2024 წლის თებერვალში (525 ყუთი) განხორციელდა, დემპინგური ზღვარი კი თვეების მიხედვით 162,69%-დან 235,31%-მდე მერყეობდა.

გრაფიკი N6: დემპინგის ზომა პროდუქტისთვის:




სიგარეტის შემთხვევაში იმპორტირებული პროდუქტი ნოემბერ-დეკემბერში (შესაბამისად, 1540 და 1157 ყუთი) გვაქვს დემპინგური ზღვრით 342,45%-346,15%.

გრაფიკი N7: დემპინგის ზომა პროდუქტისთვის:



სიგარეტის შემთხვევაში იმპორტი განხორციელდა 2023 წლის დეკემბერში (366 ყუთი), დემპინგური ზღვრით 320,29%.


გრაფიკი N8: დემპინგის ზომა პროდუქტისთვის:



ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს (1784 ყუთი), დემპინგური ზღვრით 320,29%.


სიგარეტის შემთხვევაშიც, იმპორტი განხორციელდა 2023 წლის დეკემბერში

გრაფიკი N9: დემპინგის ზომა პროდუქტისთვის:



სიგარეტის შემთხვევაშიც, ანალოგიურად, იმპორტი განხორციელდა 2023 წლის დეკემბერში (560 ყუთი), დემპინგური ზღვრით 320,29%.

გრაფიკი N10: დემპინგის ზომა პროდუქტისთვის:




სიგარეტის შემთხვევაში იმპორტი განხორციელდა 2023 წლის ივნის-ივლისსა და ნოემბერში, მაქსიმალური ოდენობა (363 ყუთი) ნოემბერში, ხოლო დემპინგური ზღვარი მერყეობდა 201,78%-223,33% ფარგლებში.

გრაფიკი N11: დემპინგის ზომა პროდუქტისთვის:




სიგარეტის შემთხვევაში იმპორტი განხორციელდა 2023 წლის დეკემბერი, 201 000 ყუთი, დემპინგური ზღვარი შეადგენდა 31,88%-ს.

გრაფიკი N12: დემპინგის ზომა პროდუქტისთვის:




სივარეტის შემთხვევაში იმპორტი განხორციელდა 2023 წლის დეკემბერი, 151 000 ყუთი, დემპინგური ზღვარი შეადგენდა 31,88%-ს.

გრაფიკი N13. დემპინგის ზომა პროდუქტისთვის:




სიგარეტის შემთხვევაში იმპორტი განხორციელდა 2023 წლის დეკემბერში (100 000 ყუთი) და 2024 წლის იანვარში (102 000 ყუთი), დემპინგური ზღვარი შეადგენდა 15,56%-ს.

გრაფიკი N14. დემპინგის ზომა პროდუქტისთვის:




სიგარეტის შემთხვევაში იმპორტი განხორციელდა 2023 წლის დეკემბერში (75 000 ყუთი) და 2024 წლის იანვარში (76 000 ყუთი), დემპინგური ზღვარი შეადგენდა 15,56%-ს.

გრაფიკი N15: დემპინგის ზომა N1 ბრენდის ჯამური მაჩვენებლებისთვის



როგორც ვხედავთ, N1 ბრენდის სიგარეტების იმპორტი ხორციელდებოდა 2023 წლის ნოემბერ-დეკემბერსა და 2024 წლის თებერვალში, რაოდენობრივი პიკით დეკემბერში (18 744 ყუთი) და დემპინგური ზღვრით 336,65%-346,24% ფარგლებში, თუმცა მაქსიმალური იმპორტის დროს დემპინგური ზღვარი ყველაზე დაბალია.

გრაფიკი N16: დემპინგის ზომა N2 ბრენდის ჯამური მაჩვენებლებისთვის




N2 ბრენდის სიგარეტების იმპორტი ხორციელდებოდა 2023 წლის ივნის-ივლისსა და ნოემბერ-დეკემბერში, რაოდენობრივი პიკით დეკემბერში (3 867 ყუთი) და დემპინგური ზღვრით 201,78%-325,64% ფარგლებში, თუმცა ამ შემთხვევაში, CAMEL ბრენდის სიგარეტებისგან განსხვავდებით მაქსიმალური იმპორტის დროს დემპინგური ზღვარი ყველაზე მაღალია.

გრაფიკი N17: დემპინგის ზომა N3 ბრენდის ჯამური მაჩვენებლებისთვის



N3 ბრენდის სიგარეტების იმპორტი ხორციელდებოდა 2023 წლის დეკემბერსა და 2024 წლის იანვარში რაოდენობრივი პიკით დეკემბერში (530 000 ყუთი) და დემპინგური ზღვრით 14,98-25,20% ფარგლებშია.

გრაფიკი N18: დემპინგის ზომა ოთხივე ბრენდის ჯამური მაჩვენებლებისთვის



ოთხივე ბრენდის ჯამური მაჩვენებლების ანალიზი (იხ. გრაფიკი N18) უფრო თვალსაჩინოს ხდის ტრენდს, რომლის მიხედვითაც დეკემბერში ყველაზე დიდი ოდენობით განხორციელდა იმპორტი, თუმცა დემპინგური ზღვრის მაჩვენებელი მაქსიმუმს აღწევს 2023 წლის აპრილში (317,05%), ხოლო მინიმუმს - 2023 წლის ივლისში (143,69%).

საბოლოოდ, აღნიშნული მონაცემების ანალიზის შედეგად დგინდება, რომ შესწავლის პერიოდში აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან იმპორტირებული N1, N2, N3 და N4 ბრენდების იმ დასახელების ფილტრიანი სიგარეტებისათვის, რომელთა ნორმალური ღირებულების შესახებ სააგენტოს გააჩნია სარწმუნო ინფორმაცია განცხადების მატერიალური დასაშვებობის განხილვის ეტაპზე, აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან ჯამურად იმპორტირებულ იქნა 43 814 ყუთი ფილტრიანი სიგარეტი, საშუალო შეწონილი საინვოისო ღირებულებით 0.77 ლარი, ხოლო იმავე საქონლისათვის ნორმალური ღირებულება იმპორტირებული რაოდენობების შესაბამისად შეწონილი საშუალო სიდიდე ვაჭრობის იმავე, შესადარ დონეზე შეადგენდა 2,19 ლარს, შესაბამისად, შესწავლის პერიოდში აღნიშნულ პროდუქტებზე დემპინგური ზღვარი შეადგენდა 181,4%-ს.

6. სავარაუდო ზიანი და მიზეზშედეგობრივი კავშირი

კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, დემპინგური იმპორტით ადგილობრივი ინდუსტრიისთვის მიყენებული ზიანის ან მისთვის ზიანის მიყენების საფრთხის დადგენა და მიზეზშედეგობრივი კავშირის არსებობის დადგენა ხორციელდება დემპინგური იმპორტის მოცულობის, აგრეთვე დემპინგური იმპორტის ადგილობრივ ბაზარზე მსგავსი პროდუქტის ფასებზე გავლენისა და ამ პროდუქტის ადგილობრივ მწარმოებლებზე გავლენის ანალიზის საფუძველზე. წესის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „შესწავლისთვის საჭირო ინფორმაცია/მტკიცებულებები უნდა შეესაბამებოდეს შესწავლის დაწყებამდე არანაკლებ 6-თვიან პერიოდს. ზიანის შესახებ მსჯელობისთვის საჭირო ინფორმაცია/მტკიცებულებები უნდა ვრცელდებოდეს შესწავლის დაწყებამდე, სულ მცირე, 3-წლიან პერიოდზე. შესწავლის ორგანო უფლებამოსილია, გამოიყენოს ამ პუნქტისგან განსხვავებული სხვა პერიოდებიც, რაც უნდა დასაბუთდეს შესწავლის დაწყების შესახებ შეტყობინებაში.“

იმის გათვალისწინებით, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან ფილტრიანი სიგარეტის იმპორტი 2021 წელს არ ხორციელდებოდა, ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანთან დაკავშირებით ინფორმაციის ანალიზისას სააგენტო დაეყრდნო მონაცემებს 2022 წლის იანვრიდან შესწავლის პერიოდის ჩათვლით, რაც შეადგენს 2 წელსა და 2 თვეს.


აღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანის მიმოხილვა მოიცავს სამ ძირითად ელემენტს, კერძოდ დემპინგური იმპორტის მოცულობას, იმპორტის გავლენას ფასებზე და იმპორტის გავლენას ადგილობრივ ინდუსტრიის წარმოების სხვა ფაქტორებზე. ამ უკანასკნელი მიმართულებით, შესწავლის წესის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, რელევანტურია გაყიდვების, მოგების, წარმოების, საბაზრო წილის, პროდუქტიულობის, ინვესტიციის უკუგების ან საწარმოო სიმძლავრეთა დატვირთულობის ხარისხის არსებული ან შესაძლო შემცირება, დემპინგური ზღვრის რაოდენობრივი მნიშვნელობა, არსებული ან მოსალოდნელი ნეგატიური ეფექტები ფულად ნაკადებზე, მარაგებზე, დასაქმებაზე, ხელფასებზე, ზრდაზე ან კაპიტალისა და ინვესტიციის მოზიდვაზე.

განცხადების მატერიალური დასაშვებობის განხილვის ეტაპზე სააგენტოს შესაძლებლობა ჰქონდა, შეეფასებინა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებიდან რამდენიმე, რათა დაედგინა: 1. ადგილი ჰქონდა თუ არა ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანის არსებობას და 2. შესაძლო ზიანის დადებით კორელაციურ კავშირს შესწავლის ობიექტის სავარაუდო დემპინგურ იმპორტთან.

6.1. შესწავლის ობიექტის სავარაუდო დემპინგური იმპორტის მოცულობა


სავარაუდო დემპინგური იმპორტის მოცულობის ნაწილში სააგენტომ განიხილა, ერთის მხრივ, შესწავლის ობიექტის იმპორტის დინამიკა რაოდენობრივ და ღირებულებით ჭრილში და, მეორეს მხრივ, იმ დასახელების პროდუქციის იმპორტი, რომელთან მიმართებითაც სააგენტოს განცხადების დასაშვებობის განხილვის ეტაპზევე მიუწვდება ხელი ნორმალური ღირებულების ჭრილში. ცხრილში მოცემულია ინფორმაცია აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე განხორციელებული შესწავლის ობიექტის იმპორტის დინამიკაზე 2022-2023 წლებში და 2024 წლის იანვარ-თებერვალში (იხ. გრაფიკი N19):

გრაფიკი N19: შესწავლის ობიექტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე იმპორტის დინამიკა



როგორც ცხრილიდან იკვეთება, აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შესწავლის ობიექტის იმპორტის მოცულობა მზარდია, როგორც რაოდენობრივ, ასევე ღირებულებით მაჩვენებლებში. სააგენტომ ასევე შეისწავლა საქართველოში ადგილობრივი ინდუსტრიის წარმოების მაჩვენებლები შესწავლის პერიოდში (გრაფიკი N20), საიდანაც იკვეთება, რომ წარმოება ხასიათდება არამუდმივი ტრენდით.

გრაფიკი N20: შესწავლის ობიექტის ადგილობრივი ინდუსტრიის წარმოების მაჩვენებლები შესწავლის პერიოდში




აღსანიშნავია ისიც, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში შესწავლის ობიექტის შიდა ბაზარზე მოქმედი საცალო გასაყიდი ფასი და ადგილობრივი ინდუსტრიის ფასები ერთიდაიგივე დიაპაზონშია. შესაბამისად, მწვევლთა რაოდენობის ყოველწლიური შემცირების

ფონზე (საქართველოში თამბაქოს ზოგადი პოლიტიკის კონტექსტში) და იმის გათვალისწინებით, რომ საშუალო მწვევლის მიერ პროდუქტის მოხმარება რადიკალურად ვერ გაიზარდება, ლოგიკურია, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შესაწავლის ობიექტის იმპორტის მოცულობის ზრდა პირდაპირ გავლენას უნდა ახდენდეს ადგილობრივ ინდუსტრიის ძირითად მაჩვენებლებზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტომ შეისწავლა საქართველოში ადგილობრივი წარმოების მაჩვენებლები, რომლებიც ინდექსირებული სახით წარმოდგენილია გრაფიკზე. როგორც კვლევამ უჩვენა, 2020-2023 წლებში ადგილობრივი ინდუსტრიის წარმოების ზრდადი ტრენდი შესაწავლის პერიოდში კლებისკენ განიცდის ცვლილებას რაოდენობრივ ჭრილში (იხ. გრაფიკი N21).

გრაფიკი N21: ადგილობრივი წარმოების ინდექსირებული მაჩვენებლები (წარმოების მოცულობა)



6.2. ადგილობრივი ინდუსტრიის წარმოებული მსგავსი პროდუქტის ფასი

სააგენტომ დამატებით ასევე შეისწავლა ადგილობრივი ინდუსტრიის მიერ წარმოებული მსგავსი პროდუქტის საშუალო ფასი საბითუმო დონეზე. თამბაქოს შემცველი ფილტრიანი სიგარეტის ინდექსირებული ფასი გაყიდვის საბითუმო დონეზე (დისტრიბუტორისთვის მიწოდება ან/და ექსპორტზე გატანა) წლების მიხედვით 2021 წლიდან სააგენტოში განცხადების წარმოდგენამდე შემცირებულია დაახლოებით 10%-ით (იხ. ცხრილი N14):

ცხრილი N14: ფილტრიანი სიგარეტის ინდექსირებული ფასი გაყიდვის საბითუმო დონეზე

	2021 წელი	2022 წელი	2023 წელი
საშუალო გასაყიდი ფასი მთლიანი გაყიდვებისთვის	100	99	90

6.3. ადგილობრივი ინდუსტრიის წარმოების მომგებიანობა და წარმოების დატვირთულობა

ადგილობრივი ინდუსტრიის წარმოების დატვირთულობა წლების განმავლობაში საშუალოდ დაახლოებით 30%-ია.

სააგენტო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ადგილობრივი ინდუსტრიის საცალო გაყიდვის ფასი საბითუმო ფასისაგან განსხვავებით მნიშვნელოვნად ნახლებ ცვალებადობას განიცდის. როგორც განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემების ცხადყოფს, ინდუსტრია ბოლო წლების განმავლობაში პოზიციონირებდა პროდუქტის საცალო გაყიდვის ფასის ლარიან ნიშნულზე, რაც იმას მიუთითებს რომ სავარაუდო დემპინგური ზიანი მეტწილად გამოხატულია საბითუმო ფასის შემცირების ხარჯზე მომგებიანობის შემცირებითა და რაოდენობრივ-წილობრივი პარამეტრების კლებით.

6.4. დემპინგური იმპორტის კავშირი ზიანთან

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანი გამოხატულია როგორც რაოდენობრივ, ასევე საფასო მაჩვენებლებში. სავარაუდო დემპინგური იმპორტის ყოველწლიური ზრდის პარალელურად სააგენტოს არ გააჩნია დამატებითი მტკიცებულება, რომელიც ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანის გამომწვევ სხვა ფაქტორებზე მიუთითებს. შესაბამისად, განცხადების მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სავარაუდო დემპინგსა და ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი დადასტურებულად უნდა იქნას მიჩნეული.

საბოლოოდ, განცხადების დასაშვებობის განხილვისას გამოვლენილ იქნა, რომ სააგენტოს ხელთ არსებული მტკიცებულებები საკმარისია იმ ვარაუდის დასასაბუთებლად, რომ შესწავლის პერიოდის განმავლობაში ადგილი აქვს შესწავლის ობიექტის სავარაუდო დემპინგურ იმპორტს აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან. აღნიშნული იმპორტის რაოდენობრივი მაჩვენებლები და სავარაუდო დემპინგური ზღვარი აღემატება კანონით განსაზღვრულ მინიმალურ ზღვრებს და, ამავდროულად, დასტურდება დემპინგით გამოწვეული ადგილობრივი ინდუსტრიის ზიანი, რომელიც გამოიხატება როგორც რაოდენობრივ, ასევე საფასო მაჩვენებლებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, დაიწყოს შესწავლა ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად.